ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-440

ქ. თბილისი 10 დეკემბერი, 2012 წ.

ერთის მხრივ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმომადგენილი თავმჯდომარის მოადგილის ნინო ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ორიენტ ლოჯიკი'' (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის შესყიდვის ობიექტს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.2.6 თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით მონაცემთა დამუშავების და შენახვის ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობის და განახლების მიზნით საქსელო/ქსელის მოწყობილობების (CPV-32400000), კერძოდ სვიჩების სახელმწიფო შესყიდვა დანართი #1–ის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ფასების ცხრილი (დანართი №1).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 38585,96 (ოცდათვრამეტი ათას ხუთას ოთხმოცდახუთი ლარი და 96 თეთრი) ლარი, ყველა ხარჯის (ტრანსპორტირება და ა.შ) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით;

დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის ,,სამოქალაქო მონაცემების ინტეგრაციის ხელშეწყობა საქართველოში" ინფრასტრუქტურის დიზაინერი დავით კურდღელაიძე და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მანანა ბასილაშვილი, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი მარინე გვრიტიშვილი.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.3 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი ნებისმიერ დროს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კვირა;

6.2 შესყიდვის ობიექტი მიწოდება ადგილია ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. #67ა;

6.3 მიწოდებულ შესყიდვის ობიექტთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, შესყიდვის ობიექტის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

6.4 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

6.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიწოდებული შესყიდვის ობიექეტის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

8. გარანტია

8.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება ერთწლიანი საგარანტიო ვადა;

8.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას 30 (ოცდაათი) დღეში.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება, ანგარიშსწორება განხორცილდება ლარში.

9.2 მიმწოდებლის მიერ საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენის (ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა) შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება, სახელშეკრულებო ღირებულების 100%–ის ოდენობით, რომელსაც შემსყიდველი გადაიხდის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

9.4 ავანსის გაცემის შემთხვევაში ავანსის დაფარვა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად.

9.5 ანგარიშწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) წარმოდგენიდან 20 დღის განმავლობაში.

10. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;

ბ) ინფლაციის მაღალი დონე;

გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში (საგარანტიო მომსახურების ვადის ჩათვლით) დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

11.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.7 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

11.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 29 მარტის ჩათვლით.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,

კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

163 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო სამი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №67ა სს ,,საქართველოს ბანკი'' BIC კოდი: BAGAGE22 ა/ა GE20BG0000000122031300 ს/კ 202307404	შპს ,,ორიენტ ლოჯიკი'' ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8 სს ,,პროკრედიტ ბანკი'' BIC კოდი: MIBGGE22 ა/ა: GE67PC0243600100009528 ს/კ 202052054
სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე	**შპს ,,ორიენტ ლოჯიკი''-ს დირექტორი**
ნინო ინწკირველი	ვაჟა ნასყიდაშვილი

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ. ღირებულება	საერთო ფასი
1	HP 1910-24G-PoE (365W) Switch (JE007A)	19	2030.84	38585.96
			სულ	38585.96 ლარი

შპს „ორიენტ ლოჯიკი"–ს
დირექტორი

ვაჟა წასყიდაშვილი

KA011892161141212

№ 141870

04 / დეკემბერი / 2012 წ.

ახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ინწკირველს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნინო,
გთხოვთ იხილოთ დანართ N1 ში, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 აგვისტოს #1663 განკარგულების საფუძველზე, კომპიუტერული ქსელის გაყვანის შესახებ, გამარტივებული შესყიდვის დასკვნა.

პატივისცემით

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების
დეპარტამენტი, დირექტორი

ზურაბ მაღრაძე

დასკვნა

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების, მაღალი მდგრადობის ან/და განვითარების უზრუნველსაყოფადსაქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 აგვისტოს #1663 განკარგულების საფუძველზე,კომპიუტერული ქსელის გაყვანაზეგამარტივებული შესყიდვის საშუალებითსახელმწიფო შესყიდვის მიზნითსააგენტომ მიმართა შემდეგ კომპანიებს:

1. შპს ,,იუ–ჯი–თი";
2. შპს ,,ორიენტ ლოჯიკი";
3. შპს ,,გრიინ პროჯექტი"
4. შპს ''სერვის 1"

შესყიდვის ობიექტი:

ლოკალური ქსელის გაყვანილობა

1. **პირველი და მეორე სართული:**
   - არსებულ საკომუნიკაციო კვანძში საკომუნიკაციო კარადის 12U მონტაჯი;
   - პაჩპანელებზე არსებული ქსელის აგება , 72 პორტი ;
   - კაბელების შემოწმება და მარკირება ;
2. **მესამე სართული:**
   - არსებულ საკომუნიკაციო კარადაში, პაჩპანელებზე არსებული ქსელის აწყობა, 48 პორტი ;
   - კაბელების შემოწმება და მარკირება ;
3. **მეოთხე სართული:**
   - კაბელ კანალებში ქსელის გაყვანა ;
   - ორი ცალი 12U საკომინიკაციო კაბელის მონტაჟი (ჩვენს მიერ მითითებულ ადგილას) და პაჩ-პანელებზე ქსელის აგება;
   - პაჩპანელები - 24 პორტიანი 4 ცალი;
   - აუტლეტების მონტაჟი - 38 ცალი ორპორტიანი აუტლეტი (გარე) ;
   - კაბელების შემოწმება და მარკირება ;
4. **მეხუთე სართული;**
   - კაბელ კანალებში ქსელის გაყვანა ;
   - ორი ცალი 12U საკომინიკაციო კაბელის მონტაჟი (ჩვენს მიერ მითითებულ ადგილას) და პაჩ-პანელებზე ქსელის აგება;
   - პაჩპანელები - 24 პორტიანი 5 ცალი;
   - აუტლეტების მონტაჟი - 54 ცალი ორპორტიანი აუტლეტი (გარე) ;
   - კაბელების შემოწმება და მარკირება
5. **მეექვსე სართული;**

- კაბელ კანალებში ქსელის გაყვანა ;
- ორი ცალი 12U საკომინიკაციო კაბელის მონტაჟი (ჩვენს მიერ მითითებულ ადგილას) და პაჩ-პანელებზე ქსელის აგება;
- პაჩპანელები - 24 პორტიანი 6 ცალი;
- აუტლეტების მონტაჟი - 63 ცალი ორპორტიანი აუტლეტი (გარე) ;
- კაბელების შემოწმება და მარკირება

6. **დამონტაჟებულ საკომუნიკაციო კარადებიდან ორი** ცალი UTP Cat 6e კაბელის ჩაყვანა დატაცენტრში 1-ლ სართულზე ;
7. **მეხუთე სართულის** დატაცენტრიდან Multimode (მინ. 24 ჯილა) ბოჭკოვანი კაბელის ჩაყვანა პირველი სართულის დატაცენტრში. ოპტიკური კაბელის მონტაჟი ოპტოკურ პაჩპანელზე

მოსაწოდებელი პროდუქციის ჩამონათვალი

N	დასახელება	რაოდენობა
1	საკომუნიკაციოკარადა 12U 19" double sectioned wall mounted rack metal	7
2	ორპორტიანი აუტლეტი (გარე), მაღალი ხარისხის	155
3	Patch panel, 24 ports	21
4	მაღალი ხარისხის კაბელი, UTP 5e cat. მუფტა	18
5	კაბელ კანალები, მაღალი ხარისხის. 100x50	240 მეტრი
6	კაბელ კანალები, მაღალი ხარისხის. 40x60	276 მეტრი
7	კაბელ კანალები, მაღალი ხარისხის. 16x16	40 მეტრი
8	Switches , HP 1910-24G-PoE (365W) Switch (JE007A)	19
9	Multimode Fiber Cable (24 ჯილა)	60 მეტრი
10	ოპტიკური პაჩპანელები	2 ცალი

წინადადება წარმოადგინეს შემდეგმა კომპანიებმა:

1. შპს ,,ორიენტ ლოჯიკი";
2. შპს ''სერვის 1"

„ორიენტ ლოჯიკი“-ის წინადადება

N	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	საკომუნიკაციო კარადა 12U wall mounted rack metal e	7	360.00 Lari	2,520.00 Lari
2	ორპორტიანი აუტლეტი (გარე), მაღალი ხარისხის	155	22.00 Lari	3,410.00 Lari
3	Patch panel, 24 ports 5e	21	65.00 Lari	1,365.00 Lari
4	მაღალი ხარისხის კაბელი, UTP 5e	5490	0.92 Lari	5,050.80 Lari
5	საკაბელო არხი 100X60	240	18.00 Lari	4,320.00 Lari
6	საკაბელო არხი 60X40	276	7.50 Lari	2,070.00 Lari
7	საკაბელო არხი 16x16	40	2.50 Lari	100.00 Lari
8	Switches , HP 1910-24G-PoE (365W) Switch (JE007A)	19	2,030.84 Lari	38,585.96 Lari
9	ოპტიკური სადენი Multimode Fiber Cable (24 წვერი)	200	3.40 Lari	680.00 Lari
10	ოპტიკური პაჩპანელი 24 LC პიგტეილი (24 წვერი ოპტიკური სადენის დადუღება)	2	130.17 Lari	260.34 Lari
11	UTP Cabling	1	8,700.00 Lari	8,700.00 Lari
12	FTP Cabling	1	517.50 Lari	517.50 Lari
	ჯამი			**67,579.60 Lari**

შპს "სერვის 1“

N	დასახელება	რაოდენობა	მასალისფასი	სულმასალა	მონტაჟისფასი	სულმონტაჟი
1	საკომუნიკაციო კარადა 12U wall mounted rack metal e	7	300.00 Lari	2,100.00 Lari	70.00 Lari	490.00 Lari
2	ორპორტიანი აუტლეტი (გარე), მაღალი ხარისხის	155	18.00 Lari	2,790.00 Lari	10.00 Lari	1,550.00 Lari
3	Patch panel, 24 ports 5e	21	95.00 Lari	1,995.00 Lari	75.00 Lari	1,575.00 Lari
4	მაღალი ხარისხის კაბელი, UTP 5e	5490	0.70 Lari	3,843.00 Lari	0.70 Lari	3,843.00 Lari
5	საკაბელო არხი 100X60	240	10.50 Lari	2,520.00 Lari	2.30 Lari	552.00 Lari
6	საკაბელო არხი 60X40	276	6.50 Lari	1,794.00 Lari	1.50 Lari	414.00 Lari
7	საკაბელო არხი 16x16	40	4.00 Lari	160.00 Lari	1.00 Lari	40.00 Lari

8	ოპტიკური სადენი Multimode Fiber Cable (24 წვერი)	60	5.40 Lari	324.00 Lari	2.00 Lari	120.00 Lari
9	ოპტიკური პაჩპანელი 24 LC პიგტეილი (24 წვერი ოპტიკური სადენის დადუღება)	2	340.00 Lari	680.00 Lari	480.00 Lari	960.00 Lari
	სულ მასალები, მონტაჟი			**16,206.00 Lari**		**9,544.00 Lari**
	მთლიანი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით					**25,750.00 Lari**

ანალიზი

კომპანია „სერვის 1 " წინადადებაში:

- ✓ წარმოდგენილია ქსელის გაყვანილობის და ამ სამუშაოებთან დაკავშირებულია შესაძენი კომპონენტების (საკომუნიკაციო კარადა, ორპორტიანი აუტლეტი, Patch panel, 24 ports 5e, მაღალი ხარისხის კაბელი UTP 5e, საკაბელო არხი 100X60, საკაბელო არხი 60X40, საკაბელო არხი 16x16, ოპტიკური სადენი Multimode Fiber Cable , ოპტიკური პაჩპანელი 24 LC პიგტეილი (24 წვერი ოპტიკური სადენის დადუღება)) ღირებულება . წარმოდგენილი პროდუქცია და სამუსაოები შეესაბამება ჩვენს მოთხოვნებს ;
- ✓ არის წარმოდგენილი სვიჩების შემოთავაზება , რას რას არის აუცილებელი რომ ყოფილიყო;
- ✓ წიდადაბების ღირებულება არის **25,750 ლარი** დღგ-ს ჩათვლით ;

კომპანია „ირიენტ-ლოგიკის" წინადადება:

- ✓ წარმოდგენილია სვიჩების, ქსელის გაყვანილობის სამუსაოების და ამ სამუშაოებთან დაკავშირებული შესაძენი კომპონენტების ღირებულება . წინადადების სრული ღირებულება 67,579.60 ლარი ;
- ✓ ამ თანხიდან სვიჩების ღირებულაბა არის **38,585.96 ლარი** . შემოთავაზებული სვიჩების მახასიათებლები შეესაბამება ჩვენს მოთხოვნას;
- ✓ სამუშაოების და ამ სამუშაოებთან დაკავშირებული შესაძენი კომპონენტების ღირებულება არის **28,993.64 ლარი .**

დასკვნა

1. სამუშაობის ჩამონათვალი და ამ სამუსაოებთან დაკავშირებული შესაძენი კომპონენტები ორივე კომპანიის წინადადებებშ შეესაბამება ჩვენს მოთხოვნებს. რადგანაც კომპანია „სერვის 1" წინადადება უფრო ოპტიმალური ღირებულების თვალსაზრისით , შესაბამისად ამ კომპონენტში გამარჯვებულია კომპანია „სერვის ერთი" ;

2. სვიჩები შემოთავაზებული კომპანია „ორიენტ ლოჯიკის“ მხრიდან თავსებადია ჩვენს მოთხოვნებთან და ამ კომპონენტში გამარჯვებულია კომპანია „ორიენტ-ლოჯიკი“

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1663 2012 წლის 31 აგვისტო ქ. თბილისი

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე 12 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების, მაღალი მდგრადობის ან/და განვითარების უზრუნველსაყოფად, საქონლის, მომსახურების ან/და სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვა სააგენტომ შესაძლებელია განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით არა უგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრისა.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შესაბამისი ფინანსური რესურსების

მობილიზება საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს თავის მიერ მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სახსრებით, მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელების შეუფერხებლად.

პრემიერ-მინისტრი	გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა	ივანე მერაბიშვილი